

**საქართველოში ინსტიტუციური მდგრადი განვითარების
საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების პრაქტიკა
«შემოქმედებითი ნაპერწკალი: საგანმანათლებლო
პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის» ერთ-ერთი
პარტნიორული პროექტის მაგალითზე**

კოლინ რიგბი

პროფესორი, კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)

ფილიპა ჩემპენი

ინოვაციების მრჩეველი, კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)

ოთარ ზუმბურიძე

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორი

ბორის გითოლენდია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ლუკა ქემოკლიძე

სტუ-ს მაგისტრანტი

**PRACTICE OF INTERNATIONAL EDUCATIONAL
PROJECTS ON SUSTAINABLE INSTITUTIONAL
DEVELOPMENT IN GEORGIA, ON THE EXAMPLE
OF ONE OF THE PROJECT PARTNERSHIPS OF
“CREATIVE SPARK: HIGHER EDUCATION
ENTERPRISE PROGRAMME”**

Colin Rigby – Senior Lecturer, Keele University
(UK)

Philippa Chapman - Innovation Advisor, Keele
University (UK)

Otar Zumburidze – Doctor of Technical Sciences,
Professor – Georgian Technical University

Boris Gitolendia – Doctor of Business Administra-
tion, Associate Professor, Georgian Technical Univer-
sity

Luka Kemoklidze - Master's Student; Specialist in
International Relations – Georgian Technical Univer-
sity

ABSTRACT

The article reviews practice of International educational projects on sustainable Institutional development in Georgia on the example of one of the project partnerships under the British programme “Creative Spark: Higher Education Enterprise Programme”. particularly, the joint partnership project of Georgian Technical University and Keele University, practical issues of the first year of which the present research is based on. The article also highlights specific details of the project management, discusses the problems that arose during the implementation, which according to the opinion of the authors, were identified during the process of working on the project. The article is based on a joint research by Georgian Technical University and Keele University.

**ПРАКТИКА МЕЖДУНАРОДНЫХ
ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ПРОЕКТОВ
ПО ИНСТИТУЦИОНАЛЬНОМУ УСТОЙЧИВОМУ
РАЗВИТИЮ ГРУЗИИ «КРЕАТИВНАЯ ИСКРА:
ПРОГРАММА ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКОГО
ОБРАЗОВАНИЯ ДЛЯ УЧРЕЖДЕНИЙ
ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ» НА ПРИМЕРЕ
ОДНОГО ИЗ ПАРТНЕРСКИХ ПРОЕКТОВ**

РЕЗЮМЕ

В статье рассматривается практика междуна-
родных образовательных проектов по институци-
ональному устойчивому развитию в Грузии на при-
мере одного из партнерских проектов британской
программы международной инициативы «Креа-
тивная искра: Программа обучения предпри-
нимательству для учреждений высшего обра-
зования». В частности, о совместном партнерском
проекте Грузинского технического университета и
Кильского университета, на чьих практических во-
просах первого года основано данное исследование.
В статье также рассказывается о конкретных дета-
лях управления проектами, выявляются проблемы,
возникшие при реализации проекта, которые, по
мнению авторов, были выявлены непосредственно
в процессе работы над проектом. Статья основана
на совместном исследовании Грузинского техниче-
ского и Кильского университетов.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებ-
ლო დანესებულებები (უსდ), პროექტი, სამოქმედო
გეგმა, მენარმეობა, შემოქმედება, საერთაშორისო
საგანმანათლებლო პროექტი

ძირითადი ტექსტი

როგორც ცნობილია, საერთაშორისო მხარდაჭერი ინიციატივების და საგრანტო აქტივობების კუთხით ერთ-ერთი გამორჩეულია დიდი ბრიტანეთი და მისი მთავრობა. წარმოდგენილი კვლევა, ეხება სწორედ დიდი ბრიტანეთის, როგორც ერთ-ერთი მძლავრი გლობალური აქტორის ინიციატივას - „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“, რომელიც „ბრიტანეთის საბჭოს“ ეგიდით, რამდენიმე პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ხორციელდება.

„შემოქმედებითი ნაპერწკალი“ არის დიდი ბრიტანეთის მიერ ინიცირებული 5-წლიანი ინიციატივა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ნაახალისოს საერთაშორისო საუნივერსიტეტო და ინსტიტუციური პარტნიორობები სამეწარმეო უნარების და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მიმართულებით და ამ გზით ბენეფიციარ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას შეუწყოს ხელი. პროგრამა ხორციელდება დიდ ბრიტანეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში.

არსებულ პროექტებს შორისაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს. ნებისმიერი ინსტიტუციისთვის, განსაკუთრებით კი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, პროექტების მოზიდვა მნიშვნელოვანია, ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროექტის შემდგომი მართვის საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და კილის უნივერსიტეტის თანამშრომლობით შექმნილი პროექტის პირველი წლის მიზნები მთლიანად პასუხობდა საკონკურსო მოთხოვნებს და ის ფორმულირებული იყო შემდეგნაირად:

- სტუდენტების და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებული ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების განვითარება;
- ახალი ბიზნესის ამოქმედებისა და მისი ფუნქციონირების მხარდაჭერა ინკუბაციის საშუალებით;

- ცოდნის გაზიარება.

პროექტი „შემოქმედებითი ნაპერწკალის“ განხილვის და ჩვენი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები, რომლებიც იდენტიფიცირდა პირველი წლის პროექტის მაგალითზე და წარმოვიდგენთ ე.წ. „გაკვეთილების“ სახით:

გაკვეთილი I - საჭირო კონტაქტები - ხშირ შემთხვევაში დონორების მხრიდან მოწოდებული საკონტაქტო ინფორმაციები და თანამშრომლობის პოტენციური ადრესატები სხვადასხვა მიზეზით ვერ

ამართლებს და პროექტის საორგანიზაციო ჯგუფს ყოველთვის უნდა გააჩნდეს ალტერნატივები შედეგების მისაღწევად.

გაკვეთილი II - ბიუროკრატიული პროცედურები - ცნობილი ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში ბიუროკრატიული პროცედურები არის ძალზედ ხანგრძლივი და არაფრისმომცემი. ის განსაკუთრებით ფინანსურ საკითხებზე ხანგრძლივდება იმაზე დიდხანს ვიდრე დაგეგმვისას წარმოვიდგენთ, რაც დროში განერილი გეგმის ცვლილებას ხშირად იწვევს. პროექტში დროის კონტროლი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან კარგად ვიცით, რომ პროექტი დროში მკაფიოდაა განერილი და აქვს დასასრული, რომელიც სასურველია ზუსტად იმ დროს დადგეს, როგორც გეგმის შედგენისას არის გათვალისწინებული. იმისათვის, რომ შედეგი ზუსტად იმ დროს მივიღოთ, როგორც გეგმის მიხედვით გვაქვს განსაზღვრული, უნდა გაკონტროლდეს თითოეული დავალება დროითი თვალსაზრისით.

გაკვეთილი III - მოტივაცია - მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი სამოტივაციო მექანიზმებისთვის, პროექტის ბიუჯეტში ძირითადი აქტივობების შემსრულებლებისთვის გათვალისწინებული იყო გარკვეული ანაზღაურება, აღნიშნული გარემოება მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი აკადემიური პერსონალის უფრო მეტად მოტივირებისა და პროექტში მეტად ჩართვისთვის. მას ცხადია ჰქონდა სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზი, თუმცა პროექტის მენეჯმენტში ჩართული პირები მიიჩნევენ, რომ აკადემიური პერსონალის ჩართვის მხრივ პროექტი წაანყდა გარკვეულ პრობლემას.

გაკვეთილი IV - ინგლისური ენა - პროექტების იმპლემენტაციის პროცესში საორგანიზაციო ჯგუფი ხშირად აწყდებოდა ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ვინაიდან პროექტი „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ თავისი პროგრამული ნაწილით ხშირად ორიენტირებული იყო ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო აქტივობაზე, პროექტის ორგანიზების პროცესში, საორგანიზაციო ჯგუფს ხშირად ჰქონდა შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარები - სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი - თავს არიდებდა პროექტში მონაწილეობას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათთვის დისკომფორტს წარმოადგენდა ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.

გაკვეთილი V - ბიზნესის მხრიდან ჩართულობის ნაკლებობა - გამოცდილებამ აჩვენა, რომ პროექტის წარმატება დამოკიდებულია მაინც ადამიანთა მცირე და დინამიურ ჯგუფებზე, რომლებიც კატალიზატორის როლს ასრულებენ. ამიტომ მნიშვნელოვანია ზუსტად შეირჩეს სამიზნე ჯგუფები, მოკავშირეები.

გაკვეთილი VI - არასაკმარისი პროფესიული ლიტერატურა და პრაქტიკული საინფორმაციო მასალა ქართულ ენაზე - ვინაიდან პროექტი „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ ორიენტირებულია სამეწარმეო უნარებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიე-

ბის განვითარებაზე, ბენეფიციარებთან მუშაობის პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ მიმართულებით ქართულ ენაზე სამეცნიერო და პრაქტიკული ლიტერატურა, ასევე სხვა საინფორმაციო რესურსები საკმაოდ მწირია. შესაბამისად, ორი პრობლემური საკითხის ერთობლიობა - ინგლისური ენის დაბალი კომპეტენცია და მშობლიურ ენაზე პროფესიული ლიტერატურის ნაკლებობა - საორგანიზაციო პროცესის დროს ქმნიდა საკმაო სირთულეებს, რისი გადაწყვეტა საორგანიზაციო ჯგუფს დამატებითი საქმიანობით და რუტინული, დროში განწელილი ღონისძიებებით უწევდა;

პრობლემური საკითხების „გაკვეთილების“ სახით წარმოდგენასთან ერთად, გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ზოგიერთ დადებით შედეგს, რომელიც გამოიკვეთა მუშაობის პირველ წელს და ამან შესაძლებელი გახდა პროექტის შემდგომი წლების თანამშრომლობის, მეტ-ნაკლებად, სწორი დაგეგმვა.

ამ თვალსაზრისით გამოვეყოფთ დადებით ფაქტორებს: კარგი კომუნიკაცია პარტნიორებს შორის და მენეჯმენტის ერთიანი და მოტივირებული გუნდის ფორმირება; პირველი წლის პროექტში ჩართული პირდაპირ ბენეფიციართა საკმაოდ დიდი რაოდენობა; პროექტის შემდგომი მდგრადი განვითარებისათვის, მომდევნო ეტაპის საჭიროებების დადგენა და სწორი ანალიზის შესაძლებლობა; საქმიანი კავშირების განვითარება სხვადასხვა ინსტიტუციებთან, როგორც საქართველოში ისევე საზღვარგარეთ, მათ შორის დიდ ბრიტანეთში; განსხვავებული და დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზება; ფუნქციური ერთეულების როლის ზრდა ინსტიტუციების შიგნით; პრაქტიკული გამოცდილება;

ჩვენი დასკვნით საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროექტების მენეჯმენტი განვითარების ფაზაშია. პროექტების მართვის პროცესი საშუალო დონეზე ხორციელდება და საჭიროებს განვითარებას, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოცდილების გაზიარებით, რის ერთ-ერთი საშუალებაც გახლავთ საერთაშორისო

პროექტების განხორციელება, რომლის დროსაც ურთიერთთანამშრომლობის მეშვეობით ხდება გამოცდილების გადაცემა ერთი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ მოკავშირე ქვეყნის წარმომადგენელზე, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევების განხორციელების ხარჯზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ წელს თვალნათლივ გამოიკვეთა საჭიროებები, რაც შეძლებისდაგვარად აისახა მეორე წლის პროექტის სამოქმედო გეგმაში. ვინაიდან ამ სტატიაში წარმოდგენილი მასალა მკითხველს აწვდის საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას საილუსტრაციოდ, თუ როგორ მოახდინა საპროექტო ჯგუფმა პირველი წლის პროექტის ე.წ. „გაკვეთილების“ გათვალისწინება და რამდენად სწორად ასახა შემდგომ გეგმებში, დასკვნის ბოლოს მოკლედ წარმოგიდგენთ მეორე წლის პროექტის ძირითად სამოქმედო გეგმას, რომელმაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი ქართულ-ბრიტანული პროექტის - ამ შემთხვევაში სტუ-ს და კილის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობების მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ (Creative Spark: Higher Education Enterprise Programme) - საგრანტო განაცხადი № EV16048P8P;
2. ლ. სოფრომაძე; ნ. ლოლაძე; - პროექტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები მომზადებულია „სამოქალაქო საზოგადოების კვლევის ცენტრის (CSRDC)“ მიერ;
3. Gareth R Jones, Jennifer M George - „Contemporary Management“- 2006;

ვებ-გვერდები:

1. www.britishcouncil.ge
2. www.gita.gov.ge
3. www.scribd.com